პროექტი HERD

“საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეცნიერო კვლევების განვითარების ხელშეწყობა”

№*598207-EPP-1-2018-1-GE-EPPKA2-CBHE-SP (2018-2578 / 001 – 001)*

პროექტი HERD - “საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეცნიერო კვლევების განვითარების ხელშეწყობა” – ითვალისწინებს ქვეყნის მასშტაბით არსებული კვლევითი შესაძლებლობების გაუმჯობესებას საქართველოს უნივერსიტეტებში კვლევითი სამსახურების განვითარების მეშვეობით.

HERD პროექტის ძირითადი მიზანია პროექტის წევრი უნივერსიტეტების კვლევითი სამსახურების მოდერნიზაცია, კვლევითი პოტენციალისა და ხარისხის გაზრდა, სწავლებისა და კვლევის კომპონენტების ინტეგრირება ინსტიტუციურ დონეზე.

სპეციფიკური მიზნები:

- პროექტის კონსორციუმის წევრი საქართველოს 12 უნივერსიტეტისთვის ერთობლივი კვლევითი პლატფორმის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მიზნობრივ უნივერსიტეტებში კვლევითი აქტივობების დაგეგმვას, დანერგვასა და შეფასებას;
- საქართველოს კვლევითი ინტერნეტპორტალის შექმნა, რომელშიც ასახული იქნება ინფორმაცია საქართველოში არსებული აკადემიურ ინსტიტუტეციებში მიმდინარე აქტივობების, ადამიანური რესურსების და ინფრასტრუქტურის შესახებ;
- კვლევების მენეჯმენტისა და მონაცემთა ანალიზის დამუშავებისთვის საჭირო უნარების გაუმჯობესება ადმინისტრაციული პერსონალისთვის;
- წევრ უნივერსიტეტებში კვლევის პოტენციალის გაზრდის ხელშეწყობა, კვლევითი ტრანსფერისა და უნივერსიტეტი-ინდუსტრიას შორის თანამშრომლობის განვითარების მეშვეობით.

ხანგრძლივობა: 2 წელი – 15.01.2019 – 14.01.2021

HERD კონსორციუმი:

პროექტის ფარგლებში იქმნება საქართველოში სამეცნიერო კვლევის მენეჯმენტის ერთიანი სისტემა, რომელშიც თსუ-ის კოორდინირებით ქვეყნის 12 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სამთავრობო სააგენტოები და ევროპული უნივერსიტეტები ჩაერთვებიან.

Co-funded by the Erasmus+ Programme of the European Union

პროექტის კონსორციუმი შედგება 17 სრული და 3 ასოცირებული პარტნიორისგან, მათ შორისაა: საქართველოს 12 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (როგორც საჯარო, ისე კერძო), 5 სამთავრობო სააგენტო და 3 ევროპული უნივერსიტეტი (2 ფრანგული და 1 გერმანული უნივერსიტეტი).

პროექტის პარტნიორებს შორის არიან: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და სამი ასცირებული წევრი: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - საქპატენტი.

პროექტის კოორდინატორი

P1 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი – თსუ (საქართველო)

პროექტის პარტნიორი ინსტიტუციები

P2 დრეზდენის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი – TUD (გერმანია)

P3 კლერმონ ოვერნის უნივერსიტეტი– UCA (საფრანგეთი)

P4 ნიცას სოფიას ანტიოპოლის უნივერსიტეტი – UNS (საფრანგეთი)

Co-funded by the Erasmus+ Programme of the European Union

P5 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი – ილიაუნი (საქართველო)

P6 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - სტუ (საქართველო)

P7 თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი - თსმუ (საქართველო)

P8 აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი – აწსუ (საქართველო)

P9 ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი – ბსუ (საქართველო)

P10 იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი - თესაუ (საქართველო)

P11 თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია - კონსერვატორია (საქართველო)

P12 კავკასიის უნივერსიტეტი - კუ (საქართველო)

Co-funded by the Erasmus+ Programme of the European Union

P13 დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი – დტსუ (საქართველო)

P14 შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი – IBSU (საქართველო)

P15 საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი - GIPA (საქართველო)

P16 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო (საქართველო)

P17 სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (საქართველო)

P18 სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო - GITA (საქართველო)

P19 საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - საქპატენტი (საქართველო)

მეტი დეტალური ინფორმაცია HERD პროექტისა და მისი აქტივობების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ HERD ოფიციალურ ვებსაიტზე.

Co-funded by the Erasmus+ Programme of the European Union